სახალხო გაზეთი

№ 374 ხუთშაბათი, 11 აგვისტო, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 374

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დ. ყვირილაში

„ხორაპნის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ამ წლის 14 აგვისტოდან გამოვა ქ. ქუთაისში ყოველ-დღიური სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო

ქართული გაზეთი „მნათობი".

გაზეთის ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ. 3 თვით ქუთაისში 2 მ. 20 კ. 3 თვით ქუთაისს გარედ 2 მ. 50 კ. თვიურად ქუთაისში 80 კ., ქუთ. გარედ 90 კ. თითო ნომერი ყველგან ერთ შაურად. საზღვარ-გარედ წლიურად 14 მ. განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა 3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი რაჟდენ ვაჭრიძე.

რედაქციის ადრესი: Кутаисъ, Балахванская ул., д. N 12. (10—1440—2)

გამოვიდა და უდევა ნ. შიუკაშვილის

4 მოქმედ. დრამა

„მეგობრობა".

ფასი ექვსი შაური.

(ავტორის სურათით). (10—9)

გამოვიდა და იყიდება

ა. ჯორჯაძის თხზ. მე-2 წ.

„ჩვენი საზოგადოებრიობა"

ფასი ოთხი აბაზი (ავტორის სურათით და წინასიტყვაობით).

იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის თხზ. 1-ლი წ.

„ეროვნულ პროგლემის გარშემო"

ფასი 75 კაპ. (10—9)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—112)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დაგთიაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., **დროებით წასულია.**

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირადოვი რ. ზ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოზოლევსკი ბ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუცბაიოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. ძობსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემოწმება. **სადგასურით.** (წ.—1089—538)

გორის 6-კლასიანი **სავაჭრო პროგიმნაზია** ამით აცხადებს, რომ **ეგზამენები** 25 აგვისტოდან დაიწყება. თავისუფალი ვაკანსიები, მეექვსე კლასიანად, ყველა კლასებშია. (5—761—2)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამქაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლობდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თერბაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

სუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვაზაროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოსხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ,. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—81)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ბ. ვ. ხოზოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით. (წო.—1090—131)

ქუთაისში

ექიმი გ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგ. იოსელიანის სახლი. (თ.—1321—43)

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე. კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—7)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. 6—112

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—81)

ექიმი გ. მუსხელიშვილი სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარეთ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა აბასთუმანში

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერ-მარქაროვისა. (თ.—1333—47)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგანი და ბავშვების სნეულება, დილის 8—11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე., კვირაობით დილის 9—12 ს.-მდე. ალექსანდრეს ქ. № 3. (თ.—1389—22)

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი დაბრუნდა უცხოეთიდან. შინაგანი და ბავშვთა ავადმყ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელების. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. 36, ტელეფონი 388. 25—1442—1

სურამში

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ ლომსაძის აგარაკი.

გამოვიდა და იყიდება

ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, სოხიკო მერკვილაძესთან, საქართველოს ყველა ქალაქებისა და დაბების წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე სადგურებზედაც

ალ. თუთაევის

ახალი თხზულება:

„მეორე კაენი",

დრამა სამ მოქმ. და ეპილოგი. ფასი 30 კ. იქვე იყიდება ამავე ავტორის შემდეგი პიესები:

„ცოლი ვიტირო, თუ ფული", ფასი 15 კაპ.

„უმარილის ბრალია", ფასი 10 კ.

„ბედმა მიღალატა", ფასი 20 კ.

„უშნო არშიყი", და გოდევილი „სოფიო" 20 კ. ყველა პიესები ნებადართულია წარმოსადგენად. (15.1397.5)

ვასწავლი

ქართულ სიმღერა-გალობას გუნდისთვის

მიდება 1 მარიამობისთვიდან 15 ენკენისთვემდის. აგზალის მოედანი № 11. სახლი ზემოდანოვისა, ოთხშაბათობით და პარასკევობით 4—6 საათამდის. (10—1424—4)

ტფილისი, 11 აგვისტო

ყაჩაღობის გაძლიერება. ყოველ-დღე ახალ-ახალი ცნობები მოდის ყაჩაღობის გაძლიერების შესახებ. დღევანდელ გაზეთებიდანაც გაიგებს მკითხველი, რომ ყაჩაღებს გაუძარცვავთ საგურამოს წვრილი კრედიტის ამხანაგობა, თავს დასხმიან საგურამოსავე ილია ჭავჭავაძისეულ მამულის მოიჯარადრეს და სხვ. ამრიგად მართლდება ჩვენი სიტყვა, რომ დუშეთის მაზრაში მოქმედებს ერთი და იგივე რაზმი ყაჩაღებისა, რომელიც დღემდისაც ვერ გასცილებია დუშეთის მაზრის საზღვრებს. ამასთანა პირობებში, როდესაც ყაჩაღებს ერთი განსაზღვრული რაიონი აქვთ ამორჩეული, მათთან ბრძოლაც უფრო ადვილი უნდა იყოს, მაგრამ საუბედუროდ სამაზრო პოლიციას ჯერ, მგონია, ყაჩაღების კვალისთვისაც ვერ მიუგნია.

სულ ცოტა ხნის განმავლობაში, რამდენიმე მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა მოხდა. თუ თავის დროზე ენერგიული ზომები არ იქმნა მიღებული, უეჭველად კიდევ ბევრს დააზარალებენ თავზე ხელ-აღებული ყაჩაღები. მაგრამ ენერგიული ზომების მიღება აუცილებლად ჯარის გაგზავნას არა ნიშნავს, როგორც ეს „კოლოს კავკაზა"-სა ჰგონია. პირ-იქით, ჯარი ვერას გააწყობს ყაჩაღებთან, რომელნიც ერთი ადგილიდან მეორეში დაძრწიან და განსაზღვრული ადგილ-საცხოვრებელი არა აქვთ. ჯარის გაგზავნა მაზრაში მხოლოდ მძიმე ტვირთად დააწვება ისედაც შეწუხებულ სოფლელებს და საქმეს კი არაფერს უშველის. საჭიროა არა ჯარის გაგზავნა, არამედ სამაზრო ადმინისტრაციის ენერგიული ამოძრავება და სისტემატიური აზრიანი დევნა ყაჩაღებისა. თუ სამაზრო ადმინისტრაცია ენერგიულად მოეკიდა საქმეს, ყაჩაღების დაჭერაც სრულიად უბრალო საქმედ გადაიქცევა. ამის გარდა, აუცილებლად საჭიროა ადმინისტრაციამ ერთხელ და სამუდამოდ გამოიღოს თავიდან ის ყოვლად დაუსაბუთებელი აზრი, ვითომც ადგილობრივი მცხოვრებლები ყაჩაღებს ინახავდნენ. ასეთი წარმოდგენა მხოლოდ ავნებს საქმეს, რადგანაც უბრალო მცხოვრებლებს, ყაჩაღებისაგან ყველაზე მეტად შეწუხებულთ, მძარცველების მოზიარეებადა ჰხდიან. ასეთი წარმოდგენა არა-ნორმალურ ურთიერთობას ამყარებს მცხოვრებლებსა და ადმინისტრაციის შორის, რაც თვით ყაჩაღებთან ბრძოლის საქმისთვის მავნებლად უნდა ჩაითვალოს.

საჭიროა მეტი მოქმედება და ნაკლები ლაპარაკი...

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **გზათა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ნ. ი. ტუგან-ბარანოვსკი** ტფილისს ჩამოვიდა.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერი პოლკოვნიკი **ზასიპკინი** უკვე დაბრუნდა ტფილისს და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

✦ კავკასიის საბრეშუმო სადგურის გამგე ი. გ. ივანოვი 15 აგვისტოს დაბრუნდება დასავლეთ ევროპაში მოგზაურობიდან.

✦ **წვრილი კრედიტის ინსპექტორი ი. ი. ნავროტსკი** ამ კვირაში გორის მაზრისაკენ მიემგზავრება. წვრილი კრედიტის ამხანაგობანი უნდა გახსნას სოფ. ქვიშისში და ბაკურიანში. აგრეთვე დაათვალიერებს კავთისხევს და სხვა სოფლებს, სადაც წვრილ კრედიტის ამხანაგობების გახსნაა განზრახული.

✦ **მიწად მოქმედების დეპარტამენტმა** კავკასიის საბრეშუმო სადგურის ნუხის განყოფილების გამგე კ. ა. გორბონოვი გაგზავნა სრულიად რუსეთის მეფუტკრეთა კრებაზე, რომელიც ამ ცოტა ხანში ქალ. ყაზანში მოხდება.

✦ **საგურამოს ილიას მამულის** მოიჯარადრეს გუშინ განუცხადებია წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში, თავს დამესხნენ მძარცველები და თუ რამ მომეპოვებოდა, წამართვესო. ამის გამო იძულებული ვარ საგურამოს თავი მივანებოვო.

✦ **ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას** ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო, გახსნას სოფ. მეჯვრისხევში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო თავ. დ. კ. ერისთავის პასუხის-მგებლობით.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს წევრი ი. სალათელიანი,** რომელიც ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გამოსარკვევ მასალების შესაგროვებლად განჯის გუბერნიაში მოგზაურობდა, ტფილისში ჩამოვიდა. და ამ დღეებში პეტერბურგს მიემგზავრება.

✦ **მოხალისეთა რაზმი,** რომელიც პეტერბურგს იყო წასული, გუშინ ტფილისში დაბრუნდა.

✦ **ქალაქის განათება.** 12 აგვისტოს ქალაქის გამგეობასა და ქალაქის განათების მეთვალყურე კომისიას თათბირი ექნება ქალაქის განათების თაობაზე.

✦ **ქუთაისიდან ტფილისს ჩამოვიდნენ:** ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის დირექტორი იაკობ ფანცხავა, დამფასებელი ბ-ნი ართმელაძე და ამ ბანკზე დარჩენილ ტფილისის მამულების გამგე ბ-ნი გელოვანი. ბანკის წარმომადგენელნი ბანკზე დარჩენილ მამულების საქმეთა გამო ჩამოვიდნენ.

✦ **დეპუტაცია.** ლეჩხუმიდან ტფილისიდან ჩამოვიდა დეპუტაცია, რომელშიაც არიან: მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ი. გელოვანი, რ. ჩიქოვანი, მღ. მარღანია და ი. აზვლედიანი. დეპუტაციამ კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე უნდა იშუამდგომლოს ლეჩხუმის მაზრაში გზების გაუმჯობესების შესახებ.

წვრილი ამბავი

✦ 9 აგვისტოს, ღამის 11 საათზე, პოლიციელებმა გააჩერეს ეგიაზაროვის ეტლი № 21, რომელშიაც ორი მგზავრი იჯდა, და უცნობთ ჩხრეკა დაუწყეს. როდესაც პირველს ჩხრეკავდნენ, მეორე ეტლიდან გადმოხტა და პოლიციელებს სროლა აუტეხა. ერთი პოლიციელი მუცელში მსუბუქად დაიჭრა. ბოროტ-მოქმედთ არეულობით ისარგებლეს და მიიმალნენ. ეტლში დარჩენილ კალათაში ძველი საცვალი და გატენილი ბრაუნინგის რევოლვერი აღმოჩნდა.

✦ ტფილისის მოქალაქის ბაგრატ მელიქოვის ბინიდან, ბებუთოვის ქუჩა, სახლი № 48, დმანისის მცხოვრებს ნიკოლოზ ტვაურს 150 მანეთად ღირებული 4 ნოხი მოუპარავს. ქურდი შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება შესდგება დღეს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სას. სამ. საზოგადოების შენობაში (ალექსანდრეს ბაღი).

სასწავლებლებში

✦ **ტფილისის საქალებო ქართულ** გიმნაზიაში გერმანულ ენის მასწავლებლად ქ-ნი **მკოფაშვილისა მიუწვევიათ.**

✦ **„განათლების" ქალთა სკოლაში წელს შემდეგი კლასის გახსნას აპირებენ,** მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ რა ხასიათი ექნება ამ მეხუთე კლასს, **ჯერ გადაუწყვეტელია.** უმეტესობას ის აზრი გამოუთქვამს, რომ ოთხი კლასი კლასიკური გიმნაზიის ტიპისა საკმაოა, დანარჩენ კლასებს კი უეჭველად სპეციალური ხასიათი უნდა მიეცესო.

✦ **ტფ. სასულიერო სასწავლებელში** გიმნასტიკის მასწავლებლად მოსკოვის **სასულიერო აკადე-**

მიის კანდიდატი ზერ-მონაზონი ნიფონტი დაინიშნა.

სასამართლო

◆ ტფ. ტრამვაის დირექციამ ოლქის სასამართლოში ქალაქის თვით მმართველობაზე საჩივარი შეიტანა. უჩივის იმ 50,000 მან., რომელიც ქალაქის თვითმმართველობამ ჯარიმის სახით გადახდევინა.

სომხეთა ცხოვრება

◆ სოფ. ქვემო ახტა (ახალ-ბაიაზეთის მაზრა). განთავისუფლეს სომხის მწერალი ოჰანეზ ტერ-მარტიროსიანი, რომელსაც ერთი წლით დაპატიმრება ჰქონდა მისჯილი თავის ნაწარმოების დაბეჭდვისათვის

◆ ნიუ-იორკში ინგლისურ ენაზე გამოდის სომხური გაზეთი „Armenia“. ამ გაზეთს დაუბეჭდია დრამატურგის გ. სუნდუკიანცის პიესა „დაქცეული ოჯახი“.

ქუთაისი

◆ დამფსებელ კომისიის თავმჯდომარედ თავადი ბონდო მიქელაძე აურჩევიათ.

◆ დ. ნ. ჩიკვაიძისათვის ბანკის გამგეობას 900 მანეთი პენსია დაუნიშნავს წლიურად.

◆ საკომერციო მეცნიერებათა კურსების დამაარსებელმა ქუთაისის გუბერნატორს მოახსენა, რომ მეცადინეობა კურსებზე ენკენისთვიდან დაიწყება. („კოლხ.“)

ბათომი

◆ ქალაქის საავადმყოფოს ექიმს ბ. სალოვკინს წინადადება მიუცია ბათუმის საექიმო-სასანიტარო საბჭოსათვის, რომ შეერთებულის ძალით ებრძოლონ მალიარიას (ციებას). ექიმი სალოვკინი აღნუსხავს სხვა და სხვა საშუალებებს, რომლითაც შეიძლება მალიარიასთან ბრძოლა, რის შესწავლის საქმე მოწყობილი უნდა იყოს ქალაქის საავადმყოფოში. იქვე დაარსებული უნდა იქმნას მუზეუმი და ბიბლიოთეკა.

◆ კვირას, 7 აგვისტოს, ღ·მის ათ საათზე, ქალაქის ბაღში ვიღაც უცნობმა დანით ზურგში მძიმედ დასჭრა ქსენია პეტროვისა. დაჭრილი სამხედრო ჰოსპიტალში გაგზავნეს. დამჭრელი მიიმალა. მის აღმოსაჩენად მიღებულია ზომები.

◆ ივლისის განმავლობაში ქალაქის სასაკლაოზე დაკლულა: 293 ხარი, 64 კამეჩი, 864 ძროხა, 1568 ცხვარი, 42 თხა და 6 ღორი. სულ 2827 სული საქონელი. („ბ. გ.“)

ბაქო

◆ პეტერბურგში განაღდებულ იქმნა საქალაქო სესხის ნაწილი 4,221,000 მან. ფული შეტანილია პეტერბურგისა და ბაქოს ბანკში.

ფოთი

◆ სავაჟო გიმნაზიის მათემატიკის მასწავლებლად პეტერბურგის უნივერსიტეტში კურს-დამთავრებული ბ. კვინიკაძე დანიშნეს.

თელავი

◆ **თელავიდან** გვატყობინებენ, რომ 8 აგვისტოს, 16 შეიარაღებული ბოროტმოქმედი კურდღელაურის აგარაკთან თავს დაესხა თელავიდან მიმავალ დილიჟანს. დილიჟანში მყოფი ყვარელის ბოქაულის მცველი სულეიმან ყარახანოვი გადმოხტა და თოფის სროლით გაიქცა, მაგრამ ყაჩაღებმა იგი მოჰკლეს. სროლის დროს დაიჭრა ერთი მგზავრი ქალი. გაძარცვის შემდეგ ყაჩაღები გავიდნენ შაიკრანის ხიდზე, იქვე ახლოს მოჰკლეს მეველე სოლომონ ფეიქრიშვილი, გვამი ალაზანში გადააგდეს და მიიმალნენ. ბოროტმოქმედთ კვალდაკვალ დაედევნა მაზრის უფროსი საერობო დარაჯებითა და სამეგრელოს პოლკის რაზმით.

ჭიათურა

◆ **კვირას, 14 აგვისტოს,** ჭიათურის სახ. უნივერსიტეტი ჰმართავს ლექციას: სტ. აკაკი ტყემალაძე წაიკითხავს „ვინა ჰქმნის ისტორიას“, შემდეგი შინაარსით: ქრისტე და მისი მოძღვრების გამომწვევი მიზეზები, ნაპოლეონ ბონაპარტი, დარვინი და ფრიდრიხ ნიცშე.

პროვინცია

◆ **სოფ. ხაგურამო** (დუშეთის მაზრა). 7 აგვისტოს საგურამოს წვრილ კრედიტის ამხანაგობაში შესულა თხუთმეტამდე შეიარაღებული კაცი და ფული მოუთხოვნია. მძარცველებს 1842 მან. და 69 კაპ. გაუტაცნიათ და მიმალულან.

◆ **სოფ. გლდანი** (გორის მაზ.) აქაურმა წვრილ კრედიტის ამხანაგობამ ხუთ აგვისტოს დაიწყო მოქმედება.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ 1 გვ. განცხადებაში, გვერდის თავში, სწერია: „**ფოთის სავაჟო 6 კლასიანი პროგიმნაზია**“ უნდა იყოს „**გორის 6-კლასიანი სავაჟო პროგიმნაზია**“.

მცირე შენიშვნა მეფუტკრეთა საყურადღებოდ

„სახალხო გაზეთის“ მე-371 ნომერში დასტამბულია კონდოლის სკოლის მასწავლებლის ბ-ნ პეტრიაშვილის წერილი, რომელშიაც ავტორი ფრიად სამართლიანად ურჩევს ალაზნის ხეობის მცხოვრებთ უარჰყონ ადამისეული გეჯები და ფუტკრის, ამ ფრიად სასარგებლო მწერის, მოვლა დაიწყონ დადანის ჩარჩოიან სკებში. საზოგადოდ მასწავლებელი, როგორც მის მოყოდებას შეჰფერის, კარგს დარიგებას იძლევა.

გულწრფელად ალვიარებთ, რომ დიდად სასიამოვნოა, როცა მასწავლებლისაგან გვესმის ცოცხალი სიტყვა: მობრძანდით, მე მზადა ვარ მეფუტკრეობა შეგასწავლოთო. გვესიამოვნა ისიც, რომ არა სპეციალური გაზეთის რედაქცია ამგვარ ხალხის ეკონომიურად დამაწინაურებელ წერილებს ადგილს აძლევს. მაგრამ ბოლოს ვიხდი, თუ ბ-ნ პეტრიაშვილის ზოგიერთი შეცდომა მსურს აღვნიშნო.

ბ-ნ მასწ. პეტრიაშვილს თუ დაუჯერებთ, ალაზნის ხეობაში მეფუტკრეობა იმიტომ დაცემულა, რომ იქ ფუტკარი ჰყავთ გეჯებში (ბუკებში), რომელშიაც ადვილად იბუდებს პეპელა და რომელიც:

„სდებს ათასობით კვერცხებსა, ჰყრის, იჩეკება. მატლები თაფლს ესევა და გზა გზა იკეთებს აბლაბუდის საფარს, რომ ფუტკარი არ მიუდგეს. ამნაირად ისინი მიდიან და როცა თაფლს მიაღწევენ, საშინელი სიხარბით იწყებენ ჭამას... როცა თაფლს ფიტიანად გაანადგურებენ, ახლა ფუტკარს მიჰყოფენ ხელს და ამნაირად მთელი ძირი ისპობა და ნელდებაო“.

ეს წინწკლებში ჩასმული, სიტყვა სიტყვით ამოვწერეთ ბ ნ მასწავლებლის წერილიდან. აქედან ყველას ის დასკვნა შეუძლიან გამოიტანოს, ვითომც პეპელა ხარბად სჭამდეს თაფლს, ანადგურებდეს ფიჭიანებს და „მერმედ ფუტკარსაც მიჰყოფდეს ხელს“, ესე იგი ფუტკრებსაც სანსლავდეს.

სავსებით ვეთანხმებით ბ-ნ პეტრიაშვილს იმაში, რომ პეპელა ანუ ჩრჩილი, ფუტკრების მუხანათი მტერია, ისიც ცხადია, რომ გეჯებში მათთან ბრძოლა ისე ადვილი არ არის, როგორც ჩარჩოიან დადანის სკაში, მაგრამ იმასაკ ვიტყვით, რომ **არც პეპელა და არც მატლი თაფლს, თვით ფუტკარს არა სჭამს.** ბუნების ყველა ქმნილებას თავისი განსაკუთრებული მტერი ჰყავს, ერთი რამ მხოლოდ მითი საზრდოობს. პეპელაც (ჩრჩილი) მხოლოდ სანთლით იკვებება, ამისათვის ის სანთლის მტერად ითვლება. რუსებიც ამ პატარა პეპელას „სანთლის ჩრჩილს“ ეძახიან.*) ვისაც მეფუტკრეობის სახელმძღვანელო წიგნი უკითხავს, ისიც ეცოდინება, რომ ჩრჩილი დიდი ხანია ფუტკრის მტრადაა ცნობილი. მის მავნებლობას იხსენიებენ ძველი დროის მწერლებიც კი. უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში ხომ მისი ცხოვრება მეცნიერების მიერ ნათლად არის გამორკვეული და მასთან ბრძოლის საშუალებაც არის ჩამოთვლილი.

ჩრჩილის პეპელა პატარაა, მაგრამ დიდი მარდი და გაიძვერაა; ზოგჯერ ის კვერცხებს სდებს თაფლოვან ყვავილის კუჭში. აქედან ის ქიასთან ერთად თვით ფუტკარს გადააქვს სკაში, ზოგჯერ საფრენთან მიიპარება და თავის პაწიუკა კვერცხებს იქ დაჰყრის, და უნებურად ფუტკრები შეაგორებენ სკაში; ზოგჯერ შიგ სკაშიც შეძვრება და სკის ფსკერზე სანთლის ნაგავში ყრის კვერცხებს. გამოჩეკილი მატლები ძლიერ გაუმაძღრები არიან. უმეტესად იკვებებიან სანთლით, მაგრამ რადგან მარტო სანთელში (ესე იგი ფიჭაში) მასაზრდოებელი აზოტიური ნივთიერება არ არის, ამისათვის მატლები უფრო ეძალებიან ძველ ნაბარტყალ ფიჭებს, რომელშიაც არის ფუტკრის ჭიის გამონაცვალი კანი. ამრიგად ის აბლაბუდას ქსელში გამოხვეული და მაშასადამე ფუტკრის შხამიანი ისრისაგან დაზღვეული, თან თან ეპტრონება უთაფლო ფიჭებს. მათთან ბრძოლა ფუტკრებს უძნელდება და ბოლოს იძულებული რჩებიან დასუსტებულებმა ბინა დასტოვონ, ან თან და თანობით გადაშენდნენ. ძლიერ ხშირად მოხდება, პეპელას მიერ გამქრალ ან გაქცეულ სკაში თაფლი იყოს, მაგრამ ფუტკრები მაინც გადაშენდეს.

პეპელასთან საბრძოლველად მარტო დადანის სკა არა კმარა. მასთან საჭიროა ფუტკრების ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა და მათი გონივრული მოვლა. პეპელა ვერას ავნებს დიდიან, ძლიერს, თაფლით სავსე ოჯახს, მეტადრე თუ ასეთ ძირს შესაფერი მოვლა, აქვს და თავის დროზე იწმინდება. პეპელა უმთავრესად საფრთხილოა ადრე გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა ღალიანობა ნაკლებია და ხელს უწყობს ნოტიო ადგილიც. მათთან ბრძოლის ზოგადი საშუალების აწერა ჩვენ გვექნება ჩვენს მეფუტკრეობის წიგნში.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ვსარგებლობთ შემთხვევით და მიუთითებთ ფუტკრის მეორე საშიშარ მტერზე. ეს არის ფუტკრების ავადმყოფობა—**ხიმყაყე** ეს სენი ფუტკრებისათვის ისეთია, როგორც ადამიანთათვის შავი ჭირი, ხოლერა და სხვა გადამდები სნეულებანი. მის სასიშროებას აზვიადებს მისი მსწრაფლი გადამდებობა. ჯერ-ჯერობით ყველაზე მეტად ეს სენი მძვინვარებს გუმბრის მხარეში, აღმოსავლეთ საქართველოში. აქა იქ კახეთშიაც არის, და თუ მეფუტკრეებმა შეერთებული ძალ-ღონით არ ვეცადეთ და არ შევებრძოლეთ, მოსალოდნელია ფუტკრებზე მთლად აგვაღებინოს ხელი.

საზოგადოდ, ფუტკრის ყველა სენთან თუ მის მტერთან, ბრძოლა არის ფუტკრების ცხოვრების შესწავლა და მისი გონივრული მოვლა. ეს კი შესაძლებელია დადანის ჩარჩოიან სკებში და არა კოდ-გეჯა—როფებ-ბიკვებ-გოდრებში.

აპ. წულაძე.

---

*) სანთელს მხოლოდ ორი რამ სძლევს და ანადგურებს: ჩრჩილი და ცეცხლი, დანარჩენი მას ვერაფერი ვნებს.

ქუთაისის ვითარება

მონურმა ცხოვრებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ დამოუკიდებლად, უბძანებლად ვერ ვახერხებთ ისეთ საქმის მართვა-გამგეობას, რომელიც ჩვენზეა დამოკიდებული. ვერ მოვრიგდებით ერთმანეთში, ან სადაოდ გახდება რაიმე საკითხი. მის მაგივრად რომ ვნებათა-ღელვა დავიმორჩილოთ და დალაგებით გავარჩიოთ სადაო კითხვა, ფარულად თუ ახლილად, მთავრობას მივმართავთ ხოლმე, რომ მან თავისი უკანასკნელი ბრძანებითი სიტყვა გვითხრას.

რას მიქვიან თვითმართებლობის პრინციპის დაცვა, როცა პირადი ან პარტიული გამარჯვების სურვილი ამოქმედებს ვინმეს ჩვენში. საჩივარი, შეკითხვა მთავრობისადმი, მზად არის იმ იმედით, რომ თავისი გაიტანოს.

სწორედ ასეთი საქმე დაემართა ჩვენ ბანკს. სულ უბრალო საკითხი იყო გადასაწყვეტი: კანონიერი იყო თუ არა 9 ივნისის არჩევნები დამფსებელი კომისიის წევრებისა. ჯგუფი, რომელიც კმაყოფილი არ იყო არჩევნების შედეგით, მცირე ყოყმანის შემდეგ „გაჯიბრიანდა“ და იმის მტკიცება დაიწყო, ორი და ორი კართოფილის სანთელიაო. არა, ოთხიაო, უთხრეს მათ და როცა ლოღიკამ თავისი ჰქმნა და შეუძლებელი მეიქმა ამ ნიადაგზე მსჯელობა, მაშინ უკმაყოფილონი მთავრობისაკენ მიიქცნენ, მისგან ითხოვეს სამართალი. თუმცა ვერც აქ გაიმარჯვეს, გრამ იმდენი მაინც მოახერხეს რომ, საქმეში არეულობა შეიტანეს. ზოგიერთი იმ აზრისაც-კია, ასეთი შეკითხვებით შეიძლება რევიზიაც კი გამოიწვიონ ფინანსთა მინისტრის მხრითაო.

ვიკმაროთ, ბატონებო, აქედან აურზაური, ნუ ავყვებით ხოლმე „პარტიულ“ განხეთქილებით გამოწვეულ ჟინიანობას და საერთო საქმეს ჩვენი ძალითა და ღონით მოუაროთ, თორემ შეუძლიათ გვითხრან—თვითმართებლობის უნარი არა გაქვთ და რათ გიკვირთ, რომ არც გეძლევათო.

⁂

წარსულ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ორი დიდი საქმე მოეწყო. თუმცა წელიწადი ისე არ გასულა, რომ სალაპარაკოდ არ გაეხდარიყო ჩვენი ქართული გიმნაზიების არსებობა. ზოგი კლასიციზმს უწუნებდა მათ და სპეციალურ სასწავლებლების დაარსებას ითხოვდა, ზოგს კიდევ არ მოსწონდა ის, რომ დიდი ფული იხარჯებოდა გიმნაზიების შენახვისთვის და სხვა ამგვარი, მაგრამ ღვთის მადლით, გიმნაზიებმა აქამდის მოატანეს და მოსალოდნელი იყო ეხლა მაინც მოეწყობოდნენ მკვიდრ ნიადაგზე, მაგრამ სულ სხვასა ვხედავთ. კერძოდ ქუთათური გიმნაზია უსახსრობისა გამო, იძულებული შეიქნა უდიდესი სწავლის ფული შემოეღო. გიმნაზიურ კლასებში 70 მ. დააწესა, მოსამზადებლებში კი—60 მანეთი.

რა შედეგი მოჰყვება სწავლის ფულის გადიდებას?.. გიმნაზიაში ამ ჟამად 1,200-დე მოსწავლეა. დიდი უმრავლესობა მათი, მგონი 90% ღარიბისა. ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა სიღარიბე იმდენად საარაკოა, რომ 50 მ. გადახდას სულ მცირე ნაწილი ახერხებს. ამავე სიღარიბის გამო, მოსწავლენი მოთავსებული არიან ბუტანელ ბინებში და ჭამა-სმა ხომ იმდენად ნაკლები აქვთ, რომ

ცხოვრება და ხელოვნება

საფრანგეთის ეხლანდელი დრამატიული ლიტერატურა.

ანტუანეტას ნორჩ გულს სიყვარული სწყუროდა. თანაც იმგვარ ცხოვრებაში იყო გართული, რომელიც გრძნობებს მეტად ამახვილებს, თუ არ აზვიადებს. ამგვარ პირობებში შემთხვევა ყოველთვის მზად არის. ვინმე რენე დანჟენი გამოუჩნდება, ლამაზი, მშვენიერი, დარდიმანდი, დიდის შეძლების პატრონი და ბევრის მნახველი. რასაკვირველია რენე მეძებრის ყნოსვით იგრძნობს ანტუანეტას მღელვარე გულს და შეიყვარებს მას, თავსაც შეაყვარებს. დანჟენი ყოველ ღონესა და ხერხსა ხმარობს ანტუანეტას დასამორჩილებლად. ანტუანეტა თავისს პრინციპებს არა ჰღალატობს და ეუბნება: ჩემის ქმრის ოჯახიდან გამიტაცეო. დანჟენი დათანხმდება. დრო დანიშნულია, როცა საბრიე საქმის გამო ინგლისში იმყოფება. ანტუანეტა სამგზავროდ მომზადებულია, როცა მისი ქმარი ბრუნდება. საქმეები წაუგია და გაკოტრებას აღარა უკლიაო. მისი ხსნა მხოლოდ ფულს შეუძლიან. ასეთ უბედურებაში, ასეთს სახიფათო მდგომარეობაში, ანტუანეტა ველარ სტოვებს ქმარსა და მხურვალე გრძნობით აღგზნებულ მიჯნურს, მის დაჟინებულ თხოვნაზე, გავიქცეთო, შემდეგს უპასუხებს: „მე შემეძლო მიმეტოვებინა ქმარი, როცა იგი იყო ბედნიერი, ძლიერი, მდიდარი. ეხლა კი ეს ყოვლად შეუძლებელია. მეტად დიდი მეხი დაატყდა თავზე: ნუ დაგავიწყდებათ ამასთანავე, რომ მე უყვარვარ მას. შეუძლებელია კიდევ ეს თავზარ დამცემი ამბავი მიუმატო მის უბედურებას. ეს საზიზღრობა იქნებოდა. უნდა დავრჩე მასთან კიდევ. რამოდენიმე ხანსა. ეს ჩემი მოვალეობაა სიბრალულისა და თანაგრძნობისაგან ნაკარნახევი“. სასოწარკვეთილი დანჟენი ემშვიდობება და აპირობს წასვლას. სუსტი ქმნილება კი თავის პრინციპებს უღალატებს. ერთის მხრით ამისთანა საშინელს მდგომარეობაში ქმრისა და ოჯახის მიტოვება მოაკვდინებელ ცოდვად მიაჩნია. მეორეს მხრით სიყვარულის ძალას ველარ ებრძვის, ველარ უძლებს და დანჟენს ეუბნება: „აღარ შემიძლიან წინააღმდეგობა, შენი ვიქნები, როცა გინდა. ჩემს გულს მეტის ატანა აღარ შეუძლიან. შენ გაღმერთებ, შენი ვარ“ და ამგვარად გულ-წასული დანჟენს ხელში ჩაუვარდება. რენე დანჟენი ეხლა იმასა სცდილობს, ჟერმენ საბრიე გაჭირვებისაგან იხსნას და ამნაირად ანტუანეტას გაუადვილოს თავისთან დაახლოვება. ფულს შეაძლევს საბრიეს, რომელსაც ეს მოქმედება ცოტა არ იყოს გააკვირვებს. უწინ რენე ყოველთვის წინააღმდეგი იყო რაიმე საქმეში ფულის დაბანდებისა. საბრიეს თან და თან ეჭვი აღეძვრის და ხანგრძლივის გამოძიების შემდეგ, ანტუანეტასა და რენეს გამოკითხვის საშუალებით, დარწმუნდება, რომ იგინი ერთმანერთის საყვარლები არიან. მაშინ ანტუანეტას წინადადებას აძლევს ან საყვარელი მოიშოროს თავიდან, ან ქმრის ოჯახი მიატოვოს. ანტუანეტასათვის ეს მიუხერხებელი და შეუძლებელია, რადგან უყვარს რენე, მაგრამ დიდს პატივსა სცემს ქმარს და მის წინაშე თავის თავი მოვალედ მიაჩნია: „მე შეუკავშირე ჩემი ცხოვრება თქვენსას“, ეუბნება ანტუანეტა ჟერმენს, „იმ დროს როცა ბედნიერები ვიყავით. უბედურების დროს მე არ შემიძლიან თქვენ განგშორდეთ და მიგატოვოთ ასეთს მდგომარეობაში... მაგრამ რენეს მოშორებაც მეტად ძნელია ჩემთვის... ცხოვრება მიმდინარეობს აქ, ჩვენს წინაშე, მთელის თავისს სისასტიკითა და სიმძლავრით. ნუ თუ, წინააღმდეგი ხართ იმისი, რომ ერთმანერთს გაუადვილოთ ამ უბედურ ცხოვრების მძიმე უღლის ტარება. მე შემოვედივარ თქვენს სახლში. ჩემი ადგილი აქაა, თქვენს ოჯახში, რომელიც მგლოვიარებით არის მოცული. მე არა მსურს ასეთს ყოფაში დაგაგდოთ, ვიდრე ძალით არ გამაძევებთ აქედან“. ამ სიტყვების შემდეგ ჟერმენი დამბაჩას დაიცემს და თავს მოიკლავს.

ამნაირია სინამდვილიდან ამოგლეჯილი ცხოვრება, რომელიც წინ აღემართება განყენებულ პრინციპსა და მშრალს კანონს. დიაღ, განქორწინება სულ ადვილი საქმეა. მაგრამ ადამიანობა, გულ-კეთილობა, გრძნობიერება ნებას არ აძლევს ანტუანეტას ქმარი იმ დროს მიატოვოს, როცა მთელი მისი საცხოვრებელი უფსკრულმა შთანთქა. რენე დანჟენი კი უყვარს და არ ძალუძს მისი სიყვარული გულში ჩაიგლიჯოს. ამ უცნაურ მდგომარეობაში ანტუანეტა ძალაუნებურად ჰღალატობს იმ იდეალურ პრინციპს, რომლითაც თავი მოსწონდა: თავისდა უნებურად უნდა გაჰყოს ცხოვრება, იძულებულია „ორ მამაკაცთა შუა“ იცხოვროს. ამისთანა ცხოვრების ატანა არ შეუძლიან იმას, ვისაც სიყვარულსა და თანაგრძნობას შესთავაზებენ, როგორც მოწყალებას და არა როგორც ნამდვილ, ჭეშმარიტ გრძნობას. ჟერმენ საბრიე ამგვარ ნაწყალობევ სიბრალულის გრძნობას ვერ მიიღებს, უარსა ჰყოფს და თანაც სიცოცხლეს ისპობს.

მაშ, სად არის ხსნა?

დიდი ღირსება ამ დრამისა, სწორედ ის არის, რომ იგი ისეთივე რთულია და საიდუმლო, ვითა ცხოვრება ჩვენი. ამ დრამაში აღებული საგანი, ისეთივე ძნელი გასარკვევია და გადასაწყვეტი, როგორც ცხოვრების უმძიმესი მოვლენანი. ამ საკითხის გადაწყვეტა ისეთივე ძნელია, როგორც საკითხი სიკვდილ-სიცოცხლისა; ისეთივე მოუხერხებელია და საძნელო, როგორც ცხოვრების თვით ულრმესის მწვავისა და წყლულის საგნებისა.

ავტორი სრულიადაც ვერ კისრულობს ასეთის შემთხვევის გარკვევას, მისგან წამოყენებულს კითხვის გადაჭრილ პასუხის მიცემას. მისი ნაწარმოები მაგალითებით გვაჩვენებს და ნათლად გვიმტკიცებს, რომ მარტო განქორწინების კანონები ვერ შემოფარგვლენ იმ რთულსა და მრავალმხრივ მოვლენას, რომელსაც სქესთა შორის კავშირი ეწოდება. განქორწინება მაშინ არის ხელსაყრელი, როცა ორთავეს ერთმანერთი მობეზრებული ჰყავთ. მაგრამ თუ ერთს მეორე უყვარს თავგანწირულის სიყვარულითა, თუ მეორე ამასა გრძნობს და იცის, რომ ეს გრძნობა არის იმის ცხოვრების ერთად-ერთი მანათობელი ვარსკვლავი? მაშინ რა ჰქნას ან ერთმა და ან მეორემ?.. „ღმერთმა ერთი რით აცხონოს, თუ მეორე არ წასწყმიდოს“, მაგრამ ღმერთისათვის შესაძლოა ადვილი იყოს ვისიმე წაწყმედა, მეორეს საცხონებლად, ხოლო სუსტის, ჩვილისა და გრძნობიერ გულის პატრონის ადამიანისათვის ასეთ სასტიკ ოპერაციის მოხდენა არც თუ ისე ადვილია!

შესაძლებელია, როცა ძირითადად, არსებითად შეიცვლება დღევანდელი წესწყობილება, რომელიც კერძო საკუთრების ინსტინქტზეა აგებული; როცა გამოიცვლება ადამიანის ფსიხოლოგია, ზნე და ჩვეულება იმავე კერძო საკუთრების შემეცნებაზე აღმოცენებული და აღზრდილი, მოსალოდნელია, მაშინ გამოიცვალოს ადამიანის შეხედულება სიყვარულისა და საზოგადოდ სქესთა შორის დამოკიდებულებაზე. ვინ იცის, იქნებ ჩვენი დღევანდელი სიცხარე სიყვარულის სამეუფოში, იჭვნეულობა და ტანჯვა, კერძო საკუთრების ინსტიტუტის წამოშობილი იყოს? ვინ იცის, იქნებ ჩვენი შეხედულება სქესთა შორის კავშირისა და ურთიერთობის შესახებ, იმავე საზომით განიზომება, როგორითაც ქონებრივი საკუთრება? ეს ნივთი ჩემია, ეს ადგილი ჩემია, ეს სახლი ჩემია, არ ახლო ხელი, თორემ მოგკლავ,—ეს წარმოდგენა ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი დღევანდელ საზოგადოებას იმ ზომამდე, რომ ცნობილი მეცნიერები და ფილოსოფოსები (მაგ. იერინგი) ადამიანის სახელის უღირსად და ლაჩრად აღიარებენ, იმ მესაკუთრეს, რომელიც თვით უმცირესს ნაწილს თავისის საკუთრებისას მთელის თავისის ძალ-ღონით არ დაიცავს. ამგვარმა დედის ძუძუსთან ერთად შეზრდილმა აზრმა საკუთრების შესახებ, შესაძლოა ისეთივე მიდრეკილება შექმნა ჩვენში სქესთა შორის ურთიერთობაშიაც: ქალს, თუ ვაჟს, თავის საკუთრებად ჰსახავს მეორე წყვილი და მის ნებას, მის სურვილს, მის გრძნობებს ანგარიშში არა ღებულობს ისე, როგორც არავის ფიქრადაც არ მოუვა, რომ ადგილ-მამულს, სახლ-კარს რაიმე სურვილი და ნება ჰქონდეს, და სულიერი არსებაც ისე ხელშეუხებელ ქონებად მიაჩნია ადამიანს, როგორც სხვა ყოველივე უძრავი საკუთრება.

ჩვენის აზრის საფუძვლიანობა სხვის გარდა იმითაც მტკიცდება, რომ ქალი ამ საგანში ბევრად უფრო თავისუფლად, ბევრად უფრო დიდის მოთმინებით ეკიდება ვაჟის საქციელს. ქმრის „ღალატი“ ეს თითქმის მიუცილებელი მოვლენაა დღევანდელის ოჯახისათვის, მაგრამ დედა-კაცი არავითარ სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს მას, ვიდრე იგი არ გადასცდება ყოველ შესაძლებელ საზღვარს. რითი აიხსნება ასეთი განსხვავება ორ სქესთა ფსიხიკისა, თუ არა იმ გრძნობებით, რომელიც აღზარდა მათში საუკუნოებით გაჭედილმა წეს-წყობილებამ, რომლის ერთი უდიდესი საფუძველი საკუთრება არის. ქალი მონა იყო, საკუთრება მამა-კაცისა, ვითა საქონელი. მამა-კაციც ნიადაგ ქალს ასე უყურებდა და ამაზე აღმოცენდა მთელი სქესობრივი ფსიხოლოგია მამა-კაცისა. მაშინ, როდესაც ქალს—დედა-კაცს, ყოველთვის ისე უნდა მიეღო ვაჟი, მამაკაცი—ვითა ბატონი, პატრონი და ამიტომ ყოველივე მისი მოქმედება მარტო მის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. აქედან წარმოიშო სქესობრივი ფსიხოლოგია დედა-კაცისა, რომელიც მამა-კაცის თავისუფალ მოქმედებას ამ სფერაში თითქმის გულგრილად უყურებს და თითქმის კანონიერად მიაჩნია. მომავალი უეჭველად იმ შეხედულებას უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ყოველ ადამიანს, ქალი იქნება იგი თუ კაცი, სრულ მეფედა და ბატონად ჩასთვლის თავისის სქესობრივის საქციელისას.

უნდა აღვიაროთ, რომ თუმცა ასეთი ახსნა მარტივია და ადვილი,

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ნახევრად მშიერია. ცივსა და სუსხიან ზამთარში, კლასში ხშირად იხილავთ პარუსინის ხალათიან ყმაწვილს; პალტო ხომ ქართულ გიმნაზიის მოსწავლეთათვის იშვიათი სამკაულია, ისე, როგორც კალოშია, მაგრამ ამას ვინ ინაღვლის, რომ ხშირად უფეხსაცმლოდ დადის ბავში გიმნაზიაში. ასეთია მოსწავლის ნივთიერი მდგომარეობა ქართულ გიმნაზიაში და მას ვეუბნებით—50 მანეთის მაგივრად სწავლის ფულად 70 მანეთი შემოიტანეო. პასუხს გადაჭრილ მივიღებთ—**სწავლის სურვილი დიდი მაქვს, მაგრამ იძულებული ვარ თავი დავანებო, რადგან 70 მ. შემოტანა არ ძალმიძს.** ამას იტყვის თუ მეტი არა, გიმნაზიის მოსწავლეთა ნახევარი მაინც. გიმნაზია მცირე ხნით მაინც დაცალიერდება. ღარიბების ადგილს უფრო შეძლებულნი დაიჭერენ და დაწესებულება უღალატებს თავის პირდაპირ მიზანს—ცოდნის საშუალება აღმოუჩინოს დასავლეთ საქართველოს უღარიბეს მკვიდრთა შვილებს.

ეს გარემოება დიდად საყურადღებოა და ვალსა გვდებს სერიოზულად ვიფიქროთ ამ საგანზე.

Pique.

ᲮᲛᲐ ᲒᲝᲒᲐᲔᲕᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ

ზაზნუკი (გორის მაზრა). ეს ხეობა იწყება სოფ. ატენის ზევიდან. მდ. ტანის ორთავ მხარეს, ბარად თუ მთეში, მრავალი ხალხია უხსოვარ დროიდან დასახლებული. მოსახლეობენ ოსები, ქართლელნი და მთიულები. უკანასკნელთ ვერ გამოარჩევთ ქართლელ გლეხებში, როგორც ლაპარაკით, ისე ზნე ჩვეულებით. აქაური მამულები სხვა და სხვა მემამულეთ ეკუთვნოდათ, ზოგი ადგილები ბანკს დარჩა. მცხოვრებნი დრომდე მემამულეს აძლევდნენ დადებულს გადასახადს, შემდეგ კი ბანკს.

ამ ხეობაში კაპიტალისტი ზუზმანი ამუშავებდა ხის საზიდს ორთქლმავალს გორიდან ვიდრე მდ. ტანის სათავემდე. რამდენიმე ადგილას გამართული იყო სადგური და სახერხი მანქანა, სადაც იხერხებოდა ხის მასალა, რკინის ლიანდაგისათვის ქვეშ დასადები ხეები („შპალები") და იგზავნებოდა სხვა და სხვა ადგილებში.

ტყე გამოილია, ზუზმანმა მუშაობა შეაჩერა და მამულებიც ბანკის საკუთრად გადავიდა, რადგანაც მემამულემ მზრუნველობას თავი მიანება.

შეუკითხავადა და გაუგებრად ადგილობრივ მცხოვრებთა მამული, როგორც ბანკმა, ისე მემამულემ, სხვას მიჰყიდა. სოფლები: ძიისი, ბოძნევი, ხანდისი, თხინალა და წერეთი სულ 116 კომლია, შეისყიდეს ბანკის საშუალებით ლეკებმა. ეს მამული ეკუთნოდა ერისთავებს. სოფლები: ზემო-ბოშური, ქვემო-ბოშური და ტუსრები, (უფრო ბარი ადგილია), 63 კომლია. ბორჩალოელმა თათრებმა შეისყიდეს სიმონოვის მამული. დარჩა მხოლოდ რამოდენიმე ოსების სოფლები გაუსყიდავი, ჩქარა მათაც ეს დღე დაადგებათ. აღელვებული ხალხი ჩარბის ჩქარჩქარა გორში შუამავალ მომრიგებელთან და სხვებთან შველას თხოულობენ. განა მართლა, ხუმრობაა ორასი კომლის აყრა და გადასახლება, ან კი სად უნდა წავიდნენ, ვინ მისცემთ მათ ადგილს? უმშვენიერეს ბუნებით მოცულ ფიქვნარში აღზდილი ადამიანი, როგორ უნდა შეეთვისოს თუ გინდ შირაქის სადაც თურმე მათ უთითებენ. ეს ყმის მოვალეობაა, დანებოს თავი სახლს, ადგის მამულს, სასაფლაოს, სადაც არა ერთი პირშო შვილია დასაფლავებული და წავიდეს იქ, სადაც ენებება. დიახ, ეს ბატონ-ყმობაა, ისევ დიამბეგობა და უარესი. მაგრამ რა შუაშია აქ ეკლესია, ნუ თუ არა ფიქრობენ მამულის გამყიდველნი, რომ დღეიდან ჩვენი ეკლესია, რომელიც მრავალის წარსულის მოწამეა, უნდა გადაიქცეს მუსულმანთა საქონლის თავ-შესაფარად და სასაცილოდ. დღეიდან აქ უნდა შეჩერდეს მართლმადიდებლის ერის ლოცვა და ვედრება, უნდა შეჩერდეს ქართულს ენაზე ღაღადი ღვთისადმი.

აქ არ მოვიხსენებ ბოძნევის ახალს შტატის ეკლესიას და არც სხვა ძველ სალოცავებს, ვიტყვი მხოლოდ ტუსრების ძველის ეკლესიაზე. ეს ეკლესია ძველთაგან ძველია, თითქმის ყოველ—მის ქვაზე ჩუქურთმაა ამოღებული, მრავალგან ეტყობა წარწერები. ეს ეკლესია აგებულია ერთს მივარდნილს ტყიანსა და მიუვალს ადგილს—ხევში, დიდს გალავნით და გარშემო მრავალ ციხე კოშკებითურთ. ამ ეკლესიის დღეობაში მრავალი მლოცავი იყრის თავს, მოდიან ტფილისის მაზრიდან პერძნებიც. ეკლესია დღევანდლამდე კარგად შენახულია, წირვა-ლოცვა დღეობაში სრულდებოდა ქართულს ენაზე. შიგნით ეკლესიაში სდგას ძველად დარჩენილი მერხები, ფიცრის დაფა შეღებილი და გახლებული და საანგარიშო ჩოთქი. ეტყობა აქვეასწავლიდნენ მოზარდ თაობას წ.-კითხვას. ეკლესიაში ინახება ძველი წმ. ოდიკი და სახარება ბერძნულს ენაზე დაწერილი. ეკლესიის ეზოში მრავალი სამალულები და აკლდამებია.

ნუ თუ არ მიაქცევს ამას ყურადღებას ქართველი საზოგადოება?

კოტე ფხანაურელი.

ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ ᲙᲐᲕᲙᲐᲕᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„სახალხო გაზეთის" № 352 მოთავსებულია ბ. ასიკოს წერილი კავკავიდან 10 ივლის მომხდარ ქართველთა შორის წ. კ. გ. ს. კავკავის განყოფილების გამგეობის კრების შესახებ. სხვათა შორის ბ. ასიკო ამბობს: ამ გამგეობის სხდომაზე ბ. ტ. კახიძემ შემოიტანა შემდეგი მოხსენება: „ამ ცოტა ხანში, როდესაც ჩვენი სკოლის სარევიზიოდ აქ იყო მთავარი გამგეობის წევრი ი. ბოცვაძე, საპედაგოგიო საბჭოს კრების დროს მასწავლებელმა არ. რამინიშვილმა სიტყვით შეურაცხყოფა მიაყენა მასწავლებელს ქ-ნ აგრაფინა წერეთლისას და გთხოვთ თქვენი მსჯავრი დასდოთ მასწავლებლის ასეთ საქციელს". ქვემოდ საქმის მდგომარეობას ჩაუკვირდი, პატივცემულო მკითხველო, და გაიგებ ვინ არის გულის წყრომის გამოცხადების ღირსი, მე თუ კავკავის სკოლის მასწავლებელი ქალი ა. წერეთლისა? საპედაგოგიო სხდომაზე 24 მაისსს, როდესაც ბ. დ. გ. ბოცვაძე ჩვენი სკოლის სწავლა-აღზრდის შესახებ შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა, წამოდგა ა. წერეთლისა და ცილი დამწამა რევიზორის წინაშე; უთხრა: ა. რამინიშვილს დისციპლინა არ უვარგა, ბავშვების გასასწორებლად ცუდ ზომებს ღებულობსო და სხვა... ყველა ამის შემდეგ, მე მას, მართლაც, ცილის მწამებელი ვუწოდე.

შემდეგ ბ. ასიკო ამბობს: ერთი წევრი თხოულობს ორივე მასწავლებლის დათხოვნას, რადგან ვერც ერთი მათგანი ვერ ასრულებს კარგად თავის მოვალეობასო."

ცოტა სათაკილოა ამ საგანზე წერა, მაგრამ იძულებული ვხდები ცოტა რამ მაინც მოგახსენოთ. მე ვმასწავლებლობდი ლორეშის 1 კლასიან სამრევლო სკოლაში, სადაც საქმე ცუდად არ მქონდა დაყენებული, რაშიაც დაგარწმუნებსთ იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების საბჭო, ლორეშის საზოგადოება და ინტელიგენცია, თუ არ დაიზარებთ და შეეკითხებით. შემდეგ მიმიწვია მასწავლებლად ს. გიორგი-წმინდაში ტფილისის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ. გიორგი-წმინდაში ვმასწავლებლობდი წელიწად-ნახევარი. აქაც საქმე კარგად მქონდა დაყენებული. ტფილისის მთავარ გამგეობაში შეგიძლიანთ გადაიკითხოთ ორი წლის მოხსენებანი გიორგი-წმინდის სკოლის შესახებ რევიზორის პეტრე სურგულაძისა და გაიგოთ გიორგი-წმინდის საზოგადოებისა და ინტელიგენციისაგან.

გიორგიწმინდიდან მომიწვია კავკავის განყოფილების გამგეობამ 10 ოკტომბერს 1910 წელს. შვიდი თვის განმავლობაში, რაც ძალი და ღონე შემწევდა, ჩემს საქმეს ენერგიულად ვემსახურებოდი. ვიყავი და ვარ საპედაგოგიო საბჭოს მდივანი, სკოლისა და სახალხო ბიბლიოთეკის გამგე ვიყავი და ვარ საკვირაო სკოლის მასწავლებელი. ქართულ დრამატიულ საზოგადოების წრის მდივანი, სამკითხველოს ხაზინადარი. მე არ მიღალატნია ჩემს წმინდა მოვალეობისთვის, მასწავლებლობისათვის. თუ კავკავის ქართული სკოლის რევიზორმა ბ. ლ. გ. ბოცვაძემ ნაკლულოვანება აღმოაჩინა მესამე განყოფილებაში, ამას თავისი მიზეზები აქვს და შეიტყობთ ბ. ბოცვაძესთან. ასიკოს წერილში მოთავსებულია აგრეთვე კავკავის განყოფილების ქ. შ. წ. კ. გ. ს. თავმჯდომარის ბატონ იოსებ გ. შვილიევის მოხსენება, მე მოწამე ვარ ყველა იმისა, რასაც ამბობს ბ. თავმჯდომარე, რადგან მეც დავესწარი მაშინ. 1910 წელს 21 ნოემბერს მოხდა ქ. შ. წ. კ. გ. ს. კავკავის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება, ამ კრებაზე გამგეობის წევრებმა შემოიტანეს წინადადება: „რომ თავმჯდომარედ დღევანდელ კრებისა იყოს არა წევრი გამგეობისა, არამედ წევრი საზოგადოებისა". მაგრამ ბ. ტ. კახიძე დაჯდა თავმჯდომარის ადგილზე და წევრებს ეუბნებოდა: წესდების ძალით, თქვენ არ შეგიძლიანთ დღევანდელ კრებისათვის სხვა თავმჯდომარე აირჩიოთ. ისევ ძველი თავმჯდომარე უნდა თავმჯდომარეობდესო", და დაჯდა თავმჯდომარის ადგილზე. მეორე მაგალითი, დამახასიათებელი ბ. ტ. კახიძის ფიზიონომიისა: 1910 წლის დეკემბერში ბ. ტ. კახიძემ შემოიტანა გამგეობაში თხოვნა, განეთავისუფლებინათ გამგეობის თავმჯდომარეობიდან. გამგეობამ მიიღო ბ. ტ. კახიძის თხოვნა და შეუდგა განხილვას. ამ დროს ბ. ტ. კახიძე წამოდგა და სკოლის ეზოში გავიდა სასეირნოდ. დიდი უმრავლესობა გამგეობის წევრებისა ამბობდა, განვათავისუფლოთ თავმჯდომარეობიდან ბ. ტ. კახიძე და მის მაგივრად ავირჩიოთ სხვა თავმჯდომარეო. ზოგი წევრი იმ აზრის იყო, რადგან ახალის ინსტრუქციით არ არსებობს სკოლის გამგის თანამდებობა, გარდა უფროსი მასწავლებლისა, ამიტომ ბ. ტ. კახიძე გამგის თანამდებობიდანაც დათხოვნილ უნდა იქმნას და ეს თანამდებობა ჩაბარდეს უფროს მასწავლებელსო. სწორედ ამ სხდომის თავმჯდომარე ექიმი მ. ა. კალანდარაშვილი გაცხარებული იცავდა ბ. ტ. კახიძეს. იგი ამბობდა, თქვენ არ იცით და არ გესმით რა მფარველობას გვიწევს ბ. ტ. კახიძე ჩვენ, ქართველებს. ეგ რომ გამგედ ან თავმჯდომარედ არ იყვეს, ვინ მივა სკოლის საქმეებზე დირექტორთან, ან სხვა რამ საქმეებზე პოლიციის უფროსთან, ან სხვა თანამდებობის კაცთან. სკოლასაც დაგვიკეტავდნენ და არაფრის ნებას არ მოგვცემდნენ, უმაგისოდ დავიღუპებოდითო. გამგეობის ზოგიერთმა წევრმა შესაფერი პასუხი გასცა ბ. ექ. კალანდარაშვილს. ამ კამათში ადგილობრივ სკოლის მასწავლებლებიც იღებდნენ მონაწილეობას, ამ გაცხარებულ კამათში რომ იყვნენ გამგეობის წევრები, ბ. ტ. კახიძე ეზოდან სწრაფად შემოიჭრა სამასწავლებლო ოთახში, სადაც სხდომა იყო; ფეხებას ბრახუნით, თვალების ბრიალით კრებას მიმართა: „Что вы шумите, на улицѣ слышенъ вашъ шумъ! Что за безобразіе"... და სხვა, თავმჯდომარემ დახურა სხდომა, და კრება ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა. აი ასეთი შეუწყნარებელი თვითნებობა გამოიჩინა ბ. ტ. კახიძემ, მას სათამაშო ბურთად გაუხდია აქაური გამგეობა. ვინც მისი რწმენის არ არის, ვინც მისს აზრებს არ ემორჩილება, ის მტრად მიაჩნია და სასტიკად სდევნის. გამგეობის მმართველობის ფუნქციები რომ გადმოიტანა ბ. ტ. კახიძემ საპედაგოგიო საბჭოში, ეს მართალია. საპედაგოგიო საბჭოს მდივანი მე ვარ და კარგად ვიცი ყველა ეს. უფროსი მასწავლებლის ადგილი დაიცალა კავკავის ქართულ სკოლაში 19.1 წელს, აპრილში. მაისის გასვლამდის უნდა დროებით მოეწვიათ მასწავლებელი; სანამ მთავარი გამგეობა მათ პირველ ენკენისთვიდან უფროსს მასწავლებელს დაუნიშნავდა ბ. ტ. კახიძის წყალობით, ჩვენ კავკავის ქართული სკოლის მასწავლებლებს მოგვეცა უფლება აგვერჩია უფროსი მასწავლებელი დროებით. ეხლა, მკითხველო, იკითხე: წესდების ძალით, ვის უნდა აერჩია დროებით უფროსი მასწავლებელი, საპედაგოგიო საბჭოს, თუ კავკავის განყოფილების გამგეობას. ასეთი მაგალითები მრავლია.

შემდეგ ასიკოს წერილში მოყვანილია მოხსენება გამგეობის მდივნის მამა მღ. გ. ნათაძისა. თავის მოხსენებაში მამა გიორგი ნათაძე ამბობს: დეკემბერში ტ. კახიძემ უბრძანა მასწავლებელს არისტოკლე რამინიშვილს ჩამოერთმია ჩემთვის საკანცელარიო შკაფის გასაღები. შკაფი ორი გასაღებით იღება. ერთი თვით კახიძეს აქვს, მეორე კი მე; გასაღები ჩამომართვეს და ამით საშუალება მომესპო მდივნის მოვალეობა შემესრულებინაო". მართალია, ბ. ტ. კახიძის ბრძანებით ჩამოერთვა გასაღები მდივანს. მე ვიყავი და ვარ საპედაგოგიო საბჭოს მდივანი და ჩემთვის ყოველ წამში საჭირო იყო და არის ერთი საკუთარი გასაღები. ან ბ. ტ. კახიძეს უნდა გადმოეცა ჩემთვის შკაფის გასაღები, ან მღვდელს გიორგი ნათაძეს. მამა გიორგი ნათაძე ვერ გადმომცემდა, რადგანაც ის გამგეობის მდივანია. ბ. ტ. კახიძემ კი არაფრის გზით შკაფის გასაღები არ გადმომცა. მდივანი შევიდა ჩემს მდგომარეობაში და გადმომცა გასაღები. ბ. ტ. კახიძეს რომ მონურ მორჩილებაში ჰყავს კავკავის სკოლის მასწავლებლები, ესეც მართალია. ფეხების ბრახუნი, თვალების ბრიალი, „იდიოტის" ძახილი,—ყველაფერი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ექიმი კალანდარაშვილი კი ამისთანა კაცს ექომაგება და ამბობს, ის რომ არ იყოს, სკოლა დაიკეტებაო.

ბ. ექიმო! ყველგან საქართველოს სამინისტრო და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლებში და ჩვენს სკოლაშიაც სწავლება სწარმოებს 1881 წლის დებულების პროგრამის თანახმად, იგი დამტკიცებულია მეფის მოადგილის მიერ და არავის შეუძლიან ხელი შეახოს ამ პროგრამას. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა იმის მტკიცება, თითქოს ბ-ნ კახიძის წყალობით არსებობდეს სკოლა კავკავში.

არ. რამინიშვილი.

ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

აგერ მეორე კვირა არის, რაც თიანეთის მხარეს მკა დაიწყო, თუმცა შარშან ამ დროს, აქეთ გათავებულიც ჰქონდათ მკა. მოსავალს უფრო კარგს მოელოდნენ, მაგრამ იმედი ვერ უმართლდებათ მცხოვრებთ. პურის მოსავალი, ორთაშუა იქნება, მაგრამ ღირსებით შარშანდელს პურს ემჯობინება. ახალ-

---

მაგრამ დიდი თავხედობა იქნება დავკმაყოფილდეთ ასეთის ცალ-მხრივი განმარტებით ისეთის დიდისა და არსებითის მოვლენისა, როგორიც არის გრძნობა სიყვარულისა და საზოგადოდ სქესობრივი გრძნობა. და რამდენად უფრო გვეადვილება ამგვარი განმარტება, იმდენად უფრო ვიშიშვით ყალბ გზაზედ არ ვიდგეთ და ფეხი არ მოგვისხლტეს. თუმცა იმასაც უარს ვერა ვყოფთ, რომ იმ საფუძველს, რომელზედაც აგებულია დღევანდელი საზოგადოება, კერძო საკუთრებას, უეჭველად დიდი გავლენა აქვს ადამიანის ფსიხიკასა და მის აზრისა და ფიქრის შემოქმედებაზე.

როგორიც უნდა იყოს კაცობრიობის მომავალი, ეჭვი არ არის, ყოველთვის იქმნება უთანხმოება ამ სფერაში, ყოველთვის იქმნება მოურიდებელი დავა, თვით იმის გამოწვეული, რომ პირადობის უფლება, მით უმეტეს გრძნობაში და კიდევ მეტად სქესობრივს გრძნობაში უსაზღვრო უნდა იყოს და შეურყეველი, ვინაიდან აუცილებელია ადამიანთა ბედნიერებისათვის, რომ ადამიანმა ვინც უნდა ის შეიყვაროს და ვისაც უნდა მას დაჰნებდეს, მანამდის უყვარდეს, ვიდრე მისთვის ეს შესაძლებელია და მოსახერხებელი და როცა არ უყვარს, არ გაშორდეს, თუ უნდა, ძველს საყვარელს.

ეს ასეა, მაგრამ თუ ვთქვათ ქალს აღარ უყვარს ვაჟი, რასაკვირველია მეტად გულგრილად მოეკიდება მას, რაც უნდა უყვარდეს ვაჟს. ვერავითარი ძალა, ვერავითარი კანონი, ვერავითარი მოსაზრება ვერ მოახერხებს სიყვარული ვისმე დაავალოს, ძალით დააკისროს. მაშასადამე შეუყვარებული ადამიანი, რომელიც თანაგრძნობას ვერა ჰპოვებს, უბედურად რჩება და დაუკმაყოფილებლად და თუ კი მისი გრძნობა უკმაყოფილებისა უმაღლესს სიმწვავეს განიცდის, მაშინ მეტი არა დარჩენია რა, ჟერმენ საბრიესავით თავი მოიკლას. ეს დრამა თითქო ისეთს აზრსაც კი აღგიძრავსთ, რომ თითქო ერთად ერთი გადაწყვეტა იქ აღძრულის საკითხისა ის იყოს, რასაც ანტუანეტა ურჩევს ქმარს: „მივიღოთ ეს მძიმე და ულმობელი ცხოვრება და ერთად გავსწიოთ მისი საბედისწერო უღელი"-ო. ე. ი. თითქმის ემუდარება ქმარს, დააკმაროს status quo და „ორთა-შუა" ცხოვრებას შენც დაყაბულდი და მეც ნება დამრთეო. ადვილად შესაძლოა სხვა დროის ადამიანმა ეს მიიღოს ერთ-ერთ ნამდვილ პასუხად მძიმე და დახლართულის საგნისა და დაემორჩილოს ამგვარ საქმის დაბოლოებასა, მაგრამ არა მგონია ეგრეთმა „ნაჩუქარმა, „მოწყალებად მოღებულმა" გრძნობამ დააკმაყოფილოს. არა მგონია ამისთანა გარდაუწყვეტილებამ სულის სიმშვიდე მოუპოვოს, იგი უთუოდ ყოველთვის დატანჯული იქმნება, რომ სარგებლობს ადამიანის გულკეთილობითა და გულმოწყალეობით. ამ სიბრალულში მოიპოება რაღაც დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ადამიანისა, რომელსაც იგი დიდხანს ვერ მოითმენს და ვერ აიტანს. ყოველივე სხვაგვარი ბოლო ამ შემთხვევისა ისეთივე უხერხული და ცალმხრივი იქმნება: ანტუანეტას გაქცევა და ქმრისა და ოჯახის ასეთს უბედურებაში მიტოვება—პირუტყვობა იქმნებოდა და გულ-ქვაობა. საბრიეს თავის მოკვლა ზედმეტი თავმოყვარეობაა და მეტის მეტი ულმობლობა; საუკუნოდ სიცოცხლე მოუშხამა საბრალო ქალს და სინიდისის სამარადისო ქენჯნაში ჩააგდო. გარეშე იმისა, რომ ეგ სასტიკი ეგოიზმია, მაგვარი კატასტროფით საქმის გადაწყვეტა არ არის ცხოვრების შესაფერისი: მაგვარი მოქმედება უარყოფაა ცხოვრებისა და სიცოცხლისა და წინააღმდეგია ცხოვრებისა და სიცოცხლის კანონიერის მოთხოვნილებისა.

IV

ეგრეთის ტრაგედიულის კატასტროფით არა თავდება, მაგრამ ეგრევე გამოურკვევლად, ყველა მომქმედ პირთათვის საუბედუროდ თავდება მეორე დრამაც საფრანგეთის თეატრის რეპერტუარისა, რომელიც იმავე საგანს—სქესთა შორის ურთიერთობის საგანს ეხება.

ეს დრამა ეკუთვნის კარგად ცნობილს დრამატურგს ალფ. კაპიუს[1]), ამ დრამას ეწოდება „მეტოქე" და თვით სახელივე გვამცნევს, რომ შინაარსად აღებულია მეტოქეობა სქესის წარმომადგენელთა შორის. ეს უფრო ცხადადა სჩანს იმ ბასიდან, რომელიც აქვს დრამის ერთ ერთ მოქმედ პირს დრამის მთავარ გმირთან, ქალ-ვაჟის, სქესობრივის საუკუნო ურთიერთობის შესახებ: „შესაძლებელია ყოველ ქალში, რომელიც კი გვიყვარს, იმალებოდეს ჩვენი მეტოქე. მიუცილებელია ან დავსძლიოთ ან დაგვძლიოს. ხან-დახან ქალი რჩება გამარჯვებული, ხან-და-ხან კი ჩვენ. ყოველ შემთხვევაში დამარცხებული უთუოდ არის ვინმე".

მორის დარლეი პარიზში დიდად ცნობილი ვექილია, მასა ჰყავს მშვენიერი ცოლი მარიანა, რომელსაც აცხოვრებს ფუფუნებასა და განცხრომაში. პატივის-მოყვარეობით გატაცებულ ქალს ეს არ აკმაყოფილებს. მორისმა თავისი ვექილობა მიატოვა და ეხლა სამეცნიერო შრომას მიჰყო ხელი. მისი სახელი, როგორც ვექილისა, როგორღაც ჩრდილში მიიმალა, გაზეთებში მის სახელს აღარ იხსენიებენ. მარიანას, ამ პარიზის საზოგადოების გაზრდილ ჩიტუნიას, მშვიდი და წყნარი ცხოვრება ვერ დააკმაყოფილებს, მას უნდა სახელი, დიდება, თაყვანისცემა, ამ მის ცუდ მიდრეკილებას კიდევ უფრო ხელს უწყობს ერთი მისი ნაცნობი ქალი, ქ-ნი ბრეტენისა, რომლის ოჯახი-სალონი თითქმის გრძნობათა სავაჭრო სახლია. დიასახლისი დიდი დახელოვნებული და გაიძვერა მაჭანკალია, რომელიც ყოველგვარ ინტრიგების ქსელს აბამს თავისს სასტუმრო ოთახში და ბეც თავ-დაკარგულ მარიანასთანა მწერს ქსელში უგდებს იმ ობობას, რომელიც მეტს ფასს გაიღებს.. ამ სალონში დადის შემთხვევით, ისეთისავე შემთხვევით, როგორც დარლეის ოჯახობა, ახალგაზდა ვექილი ჰანრი ლანგლადი. ჰანრიმ ერთის უკანასკნელის პროცესის დროს დიდად გაითქვა სახელი და ამომავალ ვარსკვლავად განაცხადეს გაზეთებმა. გამოცდილი მაჭანკალი ბრეტენისა, მარიანას ხშირად წასჩურჩულებს ლანგლადის შესახებ. თვით ლანგლადსაც აღუძრავს ინტერესს მარიონასადმი. მორისი შეამჩნევს ქ-ნი ბრეტენის ოინბაზობას და გააფრთხილებს ცოლს, ერიდოს. როცა გაფრთხილება არას შველის, უფრო სასტიკ ზომებს მიიღებს: აღუკრძალავს მარიანას ამ გარყვნილ ოჯახში სიარულს, თანაც გადასწყვეტს პარიზიდან სოფელში რამდენიმე ხნით გახიზვნას. მარიანა თავს-ბრუ დასხმულია და ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევს ქმარსა. ისე გაჩარხავს საქმეს, რომ სოფელში მათთან ხშირად დაიარება ეს ხალხი და ყველაზე უფრო, რასაკვირველია, ლანგლადი, რომლის საყვარელია უკვე მარიანა. მათ დამოკიდებულებას მორისი მალე შეამჩნევს და ზოგი ალერსით, ზოგი მუქარით, გამოსტეხს მარიანას ამის შემდეგ განქორწინების წინადადებას აძლევს, ვინაიდან წარსულის წარხოცა და დავიწყება ყოვლად შეუძლებელიაო, ამბობს მორისი, ხოლო ქმისად შენდობა კომედიაა საზიზღარი და ჩვენთვის შეუფერებელიაო.

დრამა ამ სახით არავითარ განსაკუთრებულს არას წარმოადგენს და წააგავს ათასს მსგავსს მრუშების დრამას. ხოლო მთელი ინტერესი დრამისა იმ ფიქრებშია, რომელთაც იგი აღგვიძრავს, იმ თავისებურ ელფერშია, რომელიც მას არა ჩვეულებრივის ინტერესის ღირსადა ჰქმნის.

ყველაზე უწინ საქმე ის არის, რომ მარიანა ჩვეულებრივი ქალი არ არის. იგი გულწრფელი მოყვარულია ქმრისა და ერთგულია ოჯახისა. არც იმ ფუქსავატ ქალსა ჰგავს, რომლისთვისაც ოჯახი ფარდა არის და რომელიც დღე-ნიადაგ ახალ-ახალ თავის გასართობს ეძიებს სიყვარულის სამეფოში.

მარიანამ ქმარს უღალატა და ლანგლადის საყვარლად გადაიქცა. მაგრამ აქარა თუ სერიოზული გრძნობა არა ყოფილა ქალის მხრით, წუთიერის გატაცებით თავის დაკმაყოფილების გადაწყვეტილი აზრიც არა ჰქონია. მარიანა პირდაპირ მოაჯადოვა, მოხიბლა იმ შეუჩვეველ გარყვნილების ატმოსფერამ, რომელშიაც მოუხდა ყოფნა უკანასკნელ დროში. მისი ზომაზე გადასული პატივმოყვარეობა შეიქმნა ის სასხლეტი ადგილი, რომელზედაც ფეხი წაუცურდა ქალსა. ლანგლადის სახელის განთქმა, დარლეის (მისი ქმრის) ვითომ და დაზარმაცება და დამაბუნება (როგორც ეჩვენებოდა მარიანას), ეს ის ხაფანგი იყო, რომელშიაც გაება ქალი და თავისდა უნებურად, გარეშე რაიმე ბოროტის განზრახვისა, უფსკრულში გადაიჩეხა.

მისი გულწრფელი აღსარება ქმრის წინაშე, მისი გრძნობიერი, ნამდვილი და ჭეშმარიტი სინანული, ყოველს ეჭვს გარეშე აყენებს მისგან ქმრის სიყვარულის სიღრმესა და სიმტკიცეს. და აი აქ იბადება მეტად სერიოზული კითხვა, თუ გნებავთ მთელი პრობლემა აგვემართება წინ. უნდა შეუნდოს, აპატიოს, უნდა მოთმინებით მოეკიდოს თუ არა ქმარი, ცოლის ასეთ უნებლიედ შეცდომას, რომელსაც არავითარი ჩირქი არ მოუცხია ქმრისადმი გრძნობისათვის და არავითარი სამარცხვინო დაღი არ დაუსვამს მისის სახელისთვის? მარიანას ქმარი უყვარს უეჭველად, ღრმად, წრფელის გულით და თავგანწირულებით, სხვა და სხვა გარემოების ზედგავლენის ქვეშ შესცდა, ვითარცა ადამიანი, ვითარცა ასული ევასი და მერე გულითად სინანულს მიეცა. რა ჰმართებს ამ შემთხვევაში ქმარს, ოჯახის „უფროსსა და ბატონს", როგორც თვით დრამის გმირი ბრძანებს? „უნდა განაძევოს ცოლი", გვეუბნება ძველი მორალი, თვით მარიანას დედის პირით, რომელიც თავისდა უნებურად იკისრებს შვილის სასტიკის მსაჯულის როლსა. მორის დარლეიც განაძევებს მარიანას, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ თვით მას სწამდეს ამ მოქმედების სამართლიანობა, ამ მოქმედების სარგებლობა და ნაყოფიერობა. მის გულში უკვე იბადება პროტესტი ამნაირ ულმობელის გარდაწყვეტილების გამო. შესაძლოა მომავალს ჩვენს ცხოვრებაში, მამაკაცის გულში ამნაირმა პროტესტმა უფრო ღრმად გაიდგას ფესვები და ვერ დაკმაყოფილდეს ასეთის გარდაწყვე-

---

*) კაპიუს ამ ნაწარმოების შექმნაში თანამშრომლად ჰყავდა ჟურნალისტი ემანუელ არენი.

თესლი, ასლი, ფეტვი, სიმინდი და ლობიო კი ძალიან შეაწუხა მკათათვის გოლვამ. სათიბები კარგი იყო.

ზოგ-ზოგ სოფელში აქეთ თურქული მოედო საქონელს, თუმცა ჯერ-ჯერობით ზარალს კი არ იძლევა. სამაგიეროდ, ღორს ავლებს მუსრს სატკივარი. აქეთი მხრის მცხოვრებნი, შემოდგომის წლის მოსავალს-ქინძულს ისე არ შეჰხარიან ხოლმე, როგორც ღორს. ღორს კარგს ფასად ჰყიდიან და მითი იშორებენ ათასნაირს გადასახადს. მაგრამ წელს მოსავალიც ნაკლებია და ღორიც უწყდებათ. ამის გამო დიდს დაღონებაში არიან ჩაცვივნული საწყალი გლეხები. ბევრჯელ შემოუჩივლია ჩემთვის გულ-დაწყვეტილ გლეხს: „ნეტა არაფერი წამალი აქვს ღორი' სატკივარსა თუ აქვს, რატომ არ მოგვაშველებენო, ნეტა იყოს წამალი და ფასს არ დავიშურებდითო". სასურველია, მაზრის ექიმები მიაქცევდნენ ყურადღებას, და თუ რამე საშუალება მოიძებნება ღორის სატკივრის წინაამდეგ, ასწავლიდნენ მცხოვრებთ. **ქართველი ოხეხში ნამყოფი.**

მოწერილი ამბები

ბეჟათ-უბანი (შორაპნის მაზრა). საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წევრმა ბ. ს. გორგაძემ ზაფხული ს. ნებოძირში გაატარა. ბ. გორგაძემ ბევრი რამ მასალა შეკრიბა საისტორიო და საეთნოგრაფიო და აგრეთვე ბუნების მეტყველებიდან.

ბ. გორგაძემ და ბ. ი. ფერაძემ ინახულეს რამდენიმე ნაშთი ეკლესია მონასტრისა. სხვათა შორის, ინახულეს, ნ. შამბერაშვილის ხელმძღვანელობით, უფრო შესანიშნავი მონასტრის ნაშთი ს. ნუნისში. თვითონ მონასტრის ნაშთი შეკეთებულია და წირვა-ლოცვა სწარმოებს, მაგრამ მაინც დიდად საყურადღებოა, აქვს მრავალი შენობების ნაშთი. აგრეთვე ორი ვერსის მანძილზე სამხრეთ დასავლეთიდან გამოსცქერის მონასტერს, დღეს კი „ეკლესიის" ორი ოთახი, კედელში ხუდოვნურად გამოკვეთილი, „ბერების კედელი" წოდებული. მის გარეშემო სახნავ-სათესს „ბერების" მიწები ჰქვიან და იქვე ამართულ ტყიან მთას—„დედა-ბერა". აი, სწორედ ეს ადგილები დაათვალიერეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებმა და ბევრი რამ საყურადღებოც ნახეს. **ქართლელ-იმერელი.**

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 აგვისტო.

საზღვარ-გარედ.

სპარსეთი.

თავრიზი. დღეს პატარა შაჰის ახმედის დაბადების დღეა. გენერალ-გუბერნატორს ამის გამო ოფიციალური წვეულება ჰქონდა. წვეულებას რუსეთის და უცხო სახელმწიფოების ელჩები დაესწრნენ. ქალაქში პური ნაკლებად არის. ფურნეების უმრავლესობა დაკეტილია.

თავრიზი. მაკარინის გუბერნატორის მუჯა-ულ-დოულეს მოკვლა უნდოდათ. გუბერნატორი სერაიში. დამნაშავენი, 3 სომეხი და ერთი თათარი, სიკვდილით დასაჯეს. თავრიზის ენჯუმენმა შუჯას მოსაკლავად ექვსი მეფუმბარე გაგზავნა. ამათში ერთი რუსია, გამოქცეული კატორღიდან.

საფრანგეთი.

პარიზი. გაიხსნა გენერალურ საბჭოთა სესია. ზოგიერთ სესიის პრეზიდენტებმა, თავიანთ პირველ მთავრობას ნდობა გამოუცხადეს და იმედი გამოსთქვეს, რომ იგი საჭირო გონიერებას გამოიჩენს და გერმანია-საფრანგეთის უთანხმოებას ისე მოაწყობს, როგორც ორივე სახელმწიფოსათვის სამჯობინი იქნება.

ახლო-აღმოსავლეთი.

სტამბოლი. ერთ კვირაში ხოლერით 496 კაცი გახდა ავად. 267 მოკვდა. სათადარიგო ჯარი, რომელიც მალისორებს ებრძოდა, დაითხოვეს.

სალონიკი. ბრბოებთან საბრძოლველად თავისუფალ მოხალისეებს აგროვებენ. ჯამაგირად თვეში 3 ოსმალურ გირვანქას აძლევენ.

სტამბოლი. დაიწყო მოლაპარაკება ოსმალთა და ბოლგართა წარმომადგენლებისა. ბოლგარიის ელჩმა უთხრა სააგენტოს კორესპონდენტს, სავაჭრო ხელშეკრულება მალე დაიდებაო. ამას ხელს არ შეუშლის უთანხმოება, რომელიც მოვარდნილია ბოლგარეთ ოსმალეთის რკინის გზათა შეერთების საკითხში. ამის შესახებ ცალკე მოილაპარაკებენ.

ბუდაპეშტი. გაზეთები ამბობენ, კოშუტმა საყოველთაო საარჩევნო კანონის პროექტი შეიმუშავაო. არჩევანი ფარული იქნება, მხოლოდ ქალაქებსა და დიდ თემებში. ეს იმიტომ, რომ მადიარებმა უპირატესობა შეინარჩუნონ. კოშუტი სამხედრო კანონ პროექტების წინაამდეგია.

სტამბოლი. იემენში მექქის ემირის ჯარმა შეიხ-იდრისის ჯარი დაამარცხა. ემირს იმედი აქვს, რომ ტიხამეს აიღებს. თეჰრანში, ეხლად სადრედინ ბეი ინიშნება.

უსკიუბი. დიაკოვის კაიმაკამმა ალბანელები და მთავრობა ვერ შეარიგა. ალბანელები იმასვე თხოულობენ, რაც მალისორებმა მიიღეს.

ინგლისი.

იორკი. ჩრდილოეთის რკინის გზების დირექტორებმა 5 საათი ითათბირეს და ბოლოს გადასწყვიტეს, მუშებს მუშაობის დაწყების ნება მისცენ იმ პირობებით, რა პირობებიც ვაჭრობის სამინისტროსთან დადებულმა კონფერენციამ 6 აგვისტოს შეიმუშავა.

ლივერპული. გაფიცვის კომიტეტმა განკარგულება მოახდინა, რომ დღეს დამტვირთავ მუშათა ერთმა ჯგუფმა არ დაიწყოს მუშაობა. ამის გამო მუშაობის განახლება გადაიდო. მანჩესტერის საგრაფოში სამთო-მადნის მუშები უწესოებას ახდენენ. იქ ჯარი ჰმოქმედებს. მრავალი დაჭრილია.

რ უ ს ე თ ი.

ნოვოჩერკასკი. სოფლის კომიტეტის უკანასკნელ ანგარიშებიდან სჩანს, რომ 5.642009 დესეტინის პურის მოსავალი ცუდია.

მოსკოვი. სასინემოტოგრაფიო კრებამ დაადგინა, შეადგინოს კომიტეტი, რომელიც პორნოგრაფიულ სურათების გავრცელებას შეებრძოლება. ანტრაქტებში კუპლეტისტების გამართვა კრებამ დაიწუნა. კრებამ ამოირჩია საორგანიზაციო კომიტეტი და შეადგინა მუდმივი ბიურო. ამის შემდეგ კრება დაიხურა.

რუსეთი

სასინემოტოგრაფიო მოღვაწეთა კრება.

სინემოტოგრაფიული თეატრები ძალიან გახშირდა დიდრონ ქალაქებში, თითქმის ყოველ ქუჩაზე, ყოველ ჯვარედინ გზაზე შეხვდებით „ელექტრონის თეატრებს". მათ პატრონებს დიდი შემოსავალი აქვთ, ბევრი მათგანი გამდიდრდა კიდეც. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ უფრო კარგად მიუხვდა ხალხს გემოვნებას და რანაირი სურათები უჩვენა მას. ამ 15 წლის წინედ, პირველად რომ დაიწყეს მოძრავ ფოტოგრაფიის ჩვენება, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს ახალი მოგონება მომავალში, ცოცხალი გაზეთი, ცოცხალი გეოგრაფია და ცოცხალი წიგნი იქნებოდა. მაგრამ ეს იმედი გაცრუვდა, რადგანაც სინემოტოგრაფი შემოსავლის წყაროდ იქცა. სინემოტოგრაფი ხშირად გარყვნილებასაც ავრცელებს ხოლმე. ამის გარდა იგი ტეხნიკურადაც მოუწყობელია. ამ საქმის მოსაწესრიგებლად, მოსკოვში ეხლა მოწვეულია სასინემოტოგრაფო მოღვაწეთა კრება. კრებამ უნდა გამოარკვიოს, თუ როგორ უნდა მოეწყოს სინემოტოგრაფის საქმე შინაარსისა და ტეხნიკის მხრით.

ტილებას, რომლის მთელი ღირსება მარტო სისასტიკესა და სიმარჯვეშია. ამგვარი აზრი თვით მორისს ებადება, როგორც სჩანს ერთის ადგილიდან, სადაც თავის გულის-მეგობარს ეჩივლება. ამ ვაჟბატონმა—მანტრენმა—ერთი ცოლი მოჰკლა სერიოზულის ეჭვის გამო და მეორე შეირთო. მეორემ პირველსავე დღეებში შეამკო მისი შუბლი საარაკო რქებით, უსირცხვილოდ, უნამუსოდ. მაგრამ ამ მოვლენას მანტრენი უკვე მოთმინებით ეკიდება. აი ამ მეგობარს გადაუხსნის გულს მორისი და ღრმა სევდის კილოთი ამცნებს თავისს სულის კვეთებასა: „როგორ გგონია, ნუ თუ არ დადგება ისეთი დრო," შემდეგში, უფრო გვიან, როცა ცხოვრებას სათავეში ჩაუდგებიან ისეთი ადამიანები, რომელთა გონება იმდენად განათლებული იქმნება და გრძნობა იმდენად გაფაქიზებული, რომ მათის აზრით ცოლის ღალატი უბრალო, სრულიად უმნიშვნელო შემთხვევა იქმნება? ამნაირი შემთხვევა არავითარ ტანჯვას არ განაცდევინებს მათ, ცხოვრების ანგარიშში ჩასაგდებადაც კი არ ჩასთვლის და არავითარი გავლენა და მნიშვნელობა არ ექმნება ამ უბრალო „ინციდენტს" საზოგადოებისათვის. „დიაღაც", უპასუხებს ცხოვრებაში გამოცდილი და ცხოვრების სიმწარის მნახველი მეგობარი, „ღრმადა ვარ დარწმუნებული, თან და თან უფრო ნაკლებ ყურადღებას მიაქცევენ ამგვარ მოვლენას და უეჭველია მე უკანასკნელი მათგანი ვარ, რომელნიც ამნაირ შემთხვევას მთელ ტრაგედიად აქცევენ ხოლმე. მეც ხომ პირველ ჯერ შემემთხვა ასეთი ამბავი და უთუოდ იმიტომ დავკარგე გონება. დღეს კი მეორე ცოლის ღალატს თითქმის გულგრილად ვუცქერებ და თუ რაიმე მიზეზის გამო მესამე შევირთე და იმანაც მიღალატა, იქნება სიამოვნებაც კი ვიგრძნო იმის ღალატის გამო. შესაძლოა კაცობრიობაც ამ გზით მიდიოდეს მომავლისაკენ". მთელი ინტერესი დრამისა სწორედ აქ არის. მორისი არსებულის ზნე ჩვეულებისა და წარსულის ტრადიციის ზედ გავლენის ქვეშ აღზრდილია, მონაა ძველის შეხედულებისა და ამიტომ ცოლს განაძევებს, თუმცა უყვარს ღრმა და წრფელის სიყვარულით, ისე, როგორც ცოლსაც უყვარს მთელის თავისის არსებით. ცოლს თავიდან მოიშორებს ერთის უნებლიედ შეცდომისათვის, მაგრამ კაცის გულში უკვე იბადება სევდა ამგვარის გადაწყვეტილების გამო, მისი გრძნობიერი ბუნება ვერ კმაყოფილდება ამგვარის დაძველებულის იარაღით და სასჯელით და უკვე ეჭვი ებადება ამგვარის მოქმედების საფუძვლიანობაში. მას უკვე რწმენა ებადება და თითქმის უეჭველად მიაჩნია, რომ კაცობრიობა ამ საგნის გარდაწყვეტილებაში უფრო დიდ ნაბიჯს წარდგამს წინ და დედაკაცი იმის ნახევარის უფლებით მაინც ისარგებლებს ამ სფეროში, რამდენითაც სრულიად წარბშეუხრელად, დაუსჯელად სარგებლობს მამაკაცი.

ის გარდაწყვეტილება კი, რომელიც დარლეიმ მიიღო, არ აკმაყოფილებს არავის, გარდა კანონის განყენებულის ლოღიკისა. პირობა დაარღვია ერთმა მხარემ—პირობა მოსპობილია და ორივე მხარე თავისუფალია იმის აღსრულებისაგან. მაგრამ ცხოვრების ლოღიკა კი დასჯილია. ცხოვრების ლოღიკა თხოულობს ყოველის ადამიანის ბედნიერებას. მორის დარლეიმ კი ამგვარის გარდაწყვეტილებით მიწასთან გაასწორა მისი მოყვარული და ერთგული მეუღლე და თვითაც თავი გაიუბედურა. მისი გული სამუდამოდ მოწამლულია, ვინაიდან მისი სიყვარული იმ გრძნობას ეკუთვნოდა, რომელიც ერთხელ თუ ეწვევა ადამიანს თავისს სიცოცხლეში, მორისის ხანში კი, რომელიც თითქმის სიცოცხლის საუკეთესო ხანის დასასრულია (38–40 წ.) ახალის ცხოვრების შექმნა, გატეხილის, დაავადებულის, ღრმად დასევდიანებული გულით—ყოვლად შეუძლებელია.

ასე რომ განქორწინება—ეს პირველი შესწორება მამაკაცისა და დედაკაცის კავშირისა, რომელიც ძველმა ცხოვრებამ რკინისა და ფოლადის ჯაჭვით გასჭედა, ეხლა აღარ კმარა. ეხლა ესეც ეცოტავება კაცობრიობას, რომელიც თანდათან მიისწრაფვის კავშირის სრულის თავისუფლებისაკენ.. იმ თავისუფლებისაკენ, რომელიც პრაქტიკულად თითქმის აღსრულებულია. მაგრამ ვინაიდან ამგვარი განხორციელება თავისუფლებისა, როგორღაც ნამალევად ხდება, მას თან ახლავს ათასგვარი საზიზღროება და სიცუდე.

მაგრამ რაც უნდა თავისუფლებით იყოს შემოსილი დღევანდელი სქესობრივი კავშირი, მაინც დღევანდელ პირობებში ვერ ძალგვიძს გადაჭრილი პასუხი უგოთ მრავალრთულსა და მძიმე კითხვას, რომელსაც წამოგვიყენებს ხოლმე ათას-ნაირი სხვა და სხვა გვარი შემთხვევა ამ სფეროში.

როგორ უნდა მოიქცეს კაცი, მაგალითად, იმ შემთხვევაში, რომელიც აქვს მოყვანილი ავტორს „ანტუანეტა საბრიესს", ანა და ავტორს „მეტოქისას". ამის გადაწყვეტა მორის დარლეის (გმირი „მეტოქისა") არ იყოს, შეეძლება მომავალ კაცობრიობას, ახალ პირობებში აღზრდილს, ახალ ნიადაგზე მომქმედს, რომელიც ქალის „შეცდომას" ისეთის სისასტიკითა და სიცხარით ვეღარ მოეკიდება, როგორც ეპყრობა დღევანდელი კაცობრიობა. და თანდათან ადამიანთა კრებულში გამეფდება უსაზღვრო და უკილო თავისუფლება გრძნობისა, რომელიც, რამდენიც კი შეიძლება ამ ცოდვილ ქვეყანად, იმდენ სიხარულსა და ბედნიერებას მიანიჭებს ყოველს ადამიანს კერძოდ და ყველას საერთოდ.

ქ. აბაშიძე.

(შემდეგი იქნება)

განცხადებანი

მუხრანის კერძო
სამკურნალო
გ ა ი ხ ს ნ ა
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. в 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.
ნ. მ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურის ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
კ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიანი—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
გ. ა. მელიქსნიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.
ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50) 0—103—121)

◀ მშობიარეთათვის ▶
თავშესაფარი
ბებია-ქალის
თუხარელისა.
ოლგას ქ., ბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6-დან ნაშუადღევის 12 ს.
(თ.—1083—72

დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღდანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეგთაბეგიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. შილბერშაცი: 6—7 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გიუმკაია-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. გარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
11—12 ს. 606 წამლობა,
კონსულტაციურად.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—105)

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ
ისყიდება მიწა
საბურთალოზე 170ვ ოთხკ. საჟ., ეკლესიის მახლობლად, ბაღის წინ, მაკაროვის ყოფილ ადგილში, სადაც უკვე სახლდება ხალხი. მსურველმა მიჰმართოს „სორაპანის" სტამბაში, მადათოვის კუნძულზე, დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე ნიკო ქოხაშვილს. (0—1405—18)

გამოცდილი მასწავლებელი
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩინისთვის.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ადგილას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
დროებითი ადრესი: Черкезовск. (бывшая Авчальская) ул. д. № 133; кв. 4. იკითხეთ მასწავლებელი, შესავალი უმთავრეს კარებიდან (Противъ вокзала, въ Нахаловкѣ). (თ—1084—1)

რადგანაც აღარ გვჭირდება
ი ყ ი დ ე ბ ა
სრული ელექტრონის სადგური
კარგად გამართული, რომელშიაც 2 მოტორია: 20 და 12 ძალიანები, 2 ძველი ტიპის დინამო-სიმენსისა, მარმარილოს განმანაწილებელი დაფა, 60 ელემენტიანი აკუმილიატორების ბატარეა. ნახვა შეიძლება ყოველთვის „ვეტცელის" სასტუმროს ეზოში და ფასის გაგება კი კანტორაში. (3—1438—3)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი
ისყიდება პირველად გამოსული
ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის
● წ ი გ ნ ი ●
თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.
ახალი მეთოდი.
ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული
სოფიო ი. სიმონოვის მიერ.
ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.
(100—1140—58)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
მე-2 საკომერციო 8-კლასიანი სასწავლებელი (უფლებებით), აცხადებს, რომ შემდეგ კლასში გადასაყვანი გამოცდა მოხდება 26 და 27 აგვისტოს, ხოლო მისაღები 31 აგვისტოს, 1, 2 და 3 ენკენისთვეს. მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში მოწაფენი გამოუცდელად მიიღებიან. კანცელარია ღიაა 10 ს.-დან 1 ს.-მდე. ბანახევიჩის ქ., საკ. სახლი N 38, მე-3 ნაწ. (3.1439.2)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი წიგნები:
თხ. არჩ. ჯორჯაძისა: წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", ... ფ. 75 კ.
„ „ „ წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . . . ფ. 80 კ.
Baton-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ.
ვ. ყიფიანისა: «სამეგრელოს მთავარი ლევან», 4 მოქმ. დრამა . . . ფ. 40 კ.
შიუკაშვილისა: «მეგობრობა», 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.

ე. ა. ცატუროვის დეპოში
მიღებულია დიდ-ძალი
ახალ-სახიანი
შპალიერი
მცირე ფასებიდან მოკიდებული.
ბითუმად მყიდველთ საქარხნო პირობებით
—◀ ე თ მ ო ბ ა თ. ▶—
ტფილისი, სასახლის ქუჩა.
(10—1401—7)
შპალიერი

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●
პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
✦ ახალ-ახალი ✦
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
◀ პ ა რ კ ი ს ა დ ა კ ო ლ ო ფ ე ბ ი თ ▶
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)
მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა
გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.
წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.
და ბელა-რიბიც 50 კ.
აგრე მიიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ.—1053—)

სტამბა „სორაპანი" მადათოვის კუნძული.
რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.